ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება

ბრძანება:**ბ44.442122850**
თარიღი:**16/08/2021**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 35-ე, 36 მუხლებისა და „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის N204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამოცხადდეს ღია კონკურსი პროფესიულ საჯარო მოხელეთა რიგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისადა ტრანსპორტის მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარებისა და ტრანსპორტის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (სოციალური მუშაკი) - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი სმერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ბავშთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი) - 1 (ერთი) ერთეული.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის მერიის მაშტაბით გამოცხადდეს შიდა კონკურსი II და III რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად, კერძოდ:

ა/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და

დასუფთავების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის განყოფილების ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) - 1 (ერთი) ერთეული;

ბ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

გ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის საპროექტო ზედამხედველობის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

დ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

ე/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე (სამსახურის უფროსის მოადგილე) – 1 (ერთი) ერთეული.

ვ/. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - სოციალურ საკითხთა სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - 1 (ერთი) ერთეული;

3. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში II და III რანგის პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებულ შიდა კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს.

4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ღია ან/და შიდა კონკურსის გამოცხადება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში პროფესიულ საჯარო მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატს კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარსადგენად განესაზღვროს 5 /ხუთი/ კალენდარული დღე.

6. ცნობად იქნეს მიღებული, რომ კანდიდატს ღია ან/და შიდა კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენა შეუძლია მხოლოდ ელექტრონულად საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის /www.hr.gov.ge/ მეშვეობით.

7. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, იუზა უგულავამ.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში / ვ. კუპრაძის ქ. N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

9. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

10. ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე /www.kutaisi.gov.ge/.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი